საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი №2/71-2007 „4" ივნისი 2007 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სასამართლოს მანდატურის სანივთე ქონებით
უზრუნველყოფის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონისა და „სასამართლოს მანდატურის სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 22 მარტის №200 ბრძანებულების მოთხოვნებიდან გამომდინარე, სასამართლოს მანდატურის ტანსაცმლით, ატრიბუტიკითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფის მიზნით:

1. დამტკიცდეს სასამართლოს მანდატურის სანივთე ქონებით უზრუნველყოფის თანდართული საორიენტაციო ნორმა.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა (დ. გეგელია), აღნიშნული მიზნებისათვის გამოყოფილი ასიგნებების გათვალისწინებით, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები სასამართლოს მანდატურების სანივთე ქონებით უზრუნველსაყოფად.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დანართი

სასამართლოს მანდატურის სანივთე ქონებით უზრუნველყოფის ნორმა

№	სანივთე ქონების დასახელება	ზომის ერთეული	ტარების ნორმა	
			რაოდენობა	ვადა (წელი)
1	დათბილული ქურთუკი	ცალი	1	2
2	პულოვერი უსახელო	ცალი	1	1
3	პერანგი გრძელმკლავიანი	ცალი	2	1
4	პერანგი მოკლემკლავიანი	ცალი	2	1
5	მაისური	ცალი	2	1
6	ჰალსტუხი	ცალი	1	1
7	შარვალი	ცალი	4	1
8	საზაფხულო ფეხსაცმელი	წყვილი	1	1
9	ზამთრის ფეხსაცმელი	წყვილი	1	1
10	აღჭურვილობის ქამარი	ცალი	1	3
11	ხელკეტი	ცალი	1	3
12	ხელბორკილი	ცალი	1	3
13	ელექტროშოკური მოწყობილობა	ცალი	1	2
14	საძახისი	ცალი	1	2
15	ყურსასმენი	ცალი	1	1